

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

18 იანვარი 2019 წელი

11:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ბარამიძე.
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე.
საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაძე, შოთა გიორგაძე, თამთა დვალიშვილი, დავით კაკაბაძე და თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნარგიზი ალფაიძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N 2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს:/ ნარგიზი ალფაიძე/

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განხორციელებული ცვლილებების პროექტის მიხედვით, ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შემოსულობები იზრდება 2350,4 ათასი ლარით, რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხით. გადასახდელები იზრდება 5967,1 ათასი ლარით, საიდანაც 36167 ათასი ლარი წარმოადგენს 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებულ ნაშთს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე.

N2577 განკარგულებით შესრულდება ზედა-ვანი - გადიდის, ამაღლება - საპრასიის სულორის, ბზვანის ქ.ვანში ჩუგნამისა და სოლომონ მეორის მეორე შესახვევის, თავისუფლების მესამე , მეოთხე, მეხუთე და მეექვსე შესახვევებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში .

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N 2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის აიტი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად 700 ლარისა განისაზღვროს -750 ლარით.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ მეორე საკითხს.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს და შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილების დანართი N 2-ში.

/დანართი N 2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე